




თეატრი და სოციალუმი

საყოველთაო სალიბერალური ჟურნალი



თედორე დავითის ძე უორდანი
(წერილი იხ. ამვე ჯ. ნომერში)

შაბათი, 24 დეკემბერი. № 43—1915

წიურად 5 მ., ნახ. წ. 3 მ., 1 თვ. 40 კაპ. ცალკე ნომერი 10 კ. ხელის-მოწერა მიიღება „სორაპანის“ სტამბაში. მისამართი: Тифლისь Ред.-Театри да Цховсება“ I. Имедашვიл“

შანი
10 კ.

24 დეკემბერი

ამოღის, ამ სიტუციებით შემდგომ-
ნათდება!.. და ვაჟა ლინათლეს, სინელის
დასატრგუნავად მოფენილს...

ამ სიტუციებითვე უნდა შევეგებნეთ ჩვენი
საზოგადოებრივი სიღუბეჩირისა და სინელის
გამფაქტველ ნიშნებს...

გასულ კვირებში ორი თვალსაჩინო ამ-
ბავი მოხდა:

პირველი — მთ. ერობამ დაამტკიცა წესდება
ქართ. კულტ. საზოგადოებათა კავშირისა, რომ-
ლის წევრობაც შეუძლიან ყველა არსებულ
კულტურულ საზოგადოებას თვისი რწმუნებუ-
ლებით...

მეორე — შესდგა ქართულ საქველმოქმე-
დო საზოგადოების კრება, რომლის მესვეფუ-



რებმაც ათიოდე თვის წინად სულ არარის-
გან დიწყეს მოქმედება, მკირე ხნის განმავ-
ლობაში შედარებით დიდი თნხა—ოქი ათას
თუქნამდე გადაატრიალეს, დღეს სალაროში
ათას თუზანზე მეტი აქეთ, სამასზედ წევრს
შეუყარეს თავი, შვიდი განყოფილება დაარ-
სეს. საქართველოს დამშეულ-გაქირვებულ
ხალხს—განსაკუთრებით ქართველ მაჰმადიანთ
—სურსათით თუ სხვაფერად დახმარება აღმო-
უჩინეს და, ბოლოს, გვევც საზოგადოება იც-
ნო მთავრობამ მთელი ქართველი ხალხის
შტრუნველ საზოგადოებად... ეს კი იმას ნიშ-
ნავს, რომ, ბოლოს მაინც, ქართველთ შო-
რის ირკვევა ისეთი ძალი, რომელსაც შეუძ-
ლიან ილაპარაკოს და ი აქოს კადეც არა
ერთი რომელიმე წოდებში, არამედ მთელი
ქართველი ხალხის სახელით...

ჩვენ დიდი ხანია ამ მიზნისკენ მოეწყო-
დებოდა ჩვენა ერის მოქირანახლე: არა ერთ-
ხელ აღგვიჩინა ჩვენი დაქსაქსულობა და
შით გამოწვეული უძლურება...

ჩვენი ქვეყნის ნივთიერი და კულტურუ-
ლი სისუსტე იმდენად თვლსაჩინოა, რომ

მთელი საქართველოს მკვიდრთა შეერთებულ,
ერთ გამიზნულ და შეთანხმებულ მუშაობას
მოითხოვს...

დღემდე თუ თითქმის ურთიერთისგან გა-
თიშულნი ვიყავით, დღეს ჩვენი ქვეყნის ყო-
ველი კუთხის შვილთ ნება ეძლევათ, სამშობ-
ლოს საერთო სვე-მედის მოწესრიგებაში ჩაე-
რივნენ...

ამიტომ საქირაო ყოველმა კულტურულ-
მა დაწესებულებამ—წ. კ. ს., დამატულობა,
თუნო, სადაც კი არსებობს,—და თუ არ არ-
სებობს, შექმნან,—თვისი რწმუნებულებით
მონიწილება მიიღოს ქ. ვ. ს. კავშირში თუ
მთავარ საქველმოქმედო საზოგადოებაში და
თავისი მოქმედება მთავარ გააგებობას დაუ-
ქვემდებაროს, რომ მთელი ჩვენი ქვეყნის ზრდა-
განვითარება გაერთიანდეს, საქვეყნო აზრმა
საზოგადო სხეული შეისხას და ერთი მტკიცე,
ძლიერი, ქართველური აზროვნება გამოიკვეროს
და შესაფერი საქირანობაც გაჩაღდეს...

აქი-იქ დაბა-სოფლებში უკვე იწყება მუ-
შაობა, უკვე—ამოდის, ნ. თდება!—და მამ
მხედ, მტკიცედ ბრწყინვალე მომავლისკენ!

თუთუნის ქარხანაში მომუშავე ქალის სიფღრა

თუთუნს ვახვევ სიფრიფანა
თხელ ქალადის სამოსელში
და თან ვმღერი ჩემს ვაებას,
მებჯინება ტრემლი ყელში.

ვმღერი... ვშრომობ. ვშრომობ. ვმღერი.
ვმღერი ტრ მლად დანაღები
და ნელ-ნელა მკლავს და მამხობს

ულმობღლი ქლექი... ქლექი...

ველარ ვყნოსავ ჩემი სოფლის
მატოკლბებელ ყვავილთ სუნსა,
ნაცვლად ვხედავ დღით თუ ღამით
აქ თუთუნსა, იქ იუთუნსა;

აქ თუთუნით სუნთქავს ყველა,
მოიშხამა ყველა-ფერი,
დამნატრულდა სუფთა სიო
და კამკამა ჰაერფერი.

ჩანაყვითლი სახე ჩემი

შვავს ფოთოლსა შემოდგომის!
ვშრომობ! მაგრამ, ვკ ვინ არის
მადლიერი ჩემის შრომის?!...

და თქვენ... და თქვენ; სვე-მღვიძარო,
როს იკავებთ თუთუნს პირში:

გრძნობთ, რომ იმის მკეთებელი
კვდება ტანჯვა-გასაქირში?!...

თუთუნს ვახვევ სიფრიფანა
თხელ ქალადის სამოსელში
და ვიგონებ ჩემს წარსულსა—
მებჯინება ტრემლი ყელში.

მაგონდება სიყმაწვილე,
მაგონდება დედა... მამა...
მყავდა ქმარი, მყავდა შვილი—
ყველა მიწამ შემიქამა;

და ობოლი—ობოლად დავჩრჩი,
უბედურად—უბედური;

ესლა თუთუნს ვსქირი და ვახვევ;
რომ ვიშოვო ღლეკა პური.

ეს, ვის ვუთხრა ჩემი დარდი
ფიქრი ვიღას განუმარტო?—
როგორც მარტო ვაგწინდი ქვეყნად

და ჩავეკვები ისევ მარტო;
ეს, ვის დავწვევტ გულს სიკვდილით?

ვინ მიტრეხს ოხერ მკედარსა?
მხოლოდ დარღს კი თან წავიღებ,

დარღს, ჩემს მულმივ მეგობარსა.
და თქვენ... და თქვენ, სვე-მღვიძარო,

როს იკავებთ თუთუნს პირში,
გრძნობთ, რომ იმის მკეთებელი
კვდება ტანჯვა გასაქირში?!...

ი. გრიშაშვილი



იმედის ნანგრევებზე

1.

მივიწყებულ საფლავთ შორის, პა ძლივს ეპოვე დედის სამარე.

ველურ ყვავილებს მის საფლავზე უფრქვევით ციური ნამი, ქვე-წარმავალთ მის გულ მჭერღში უპოვით თავშესაფარი. დიდხანს ელოდა კრემლთა ფრქვევით თვის საყვარელ შვილს, და მოლოდინში, მწარე ფიქრებით გარემოცული, აქ ცივ სამარეს ამოფარვია საპატიმროში სიოს მსუბუქ ფრთებს ხშირად მოქონდა მისი ქვითანი.

ფარულად ეკვრეტო ვარსკვლავებს, მთვარეს; ეკვრეტო მზის სხივებს, სიცოცხლის მომცემს. აჰაყი სული ქრდა არ იხრია და მე ვფიქრობდი, რომ ერთხელ კიდევ დედის ალერსს ვედრისებოდი. ის კი არ არის. მივიწყებულ საფლავთ შორის, ძლივს, ძლივს ვიპოვე მისი სამარე.

2.

მეგობარო! შენ ეს შეილი მის ალერსში შეიძინე? მას შემდეგ, რაც მე ტყვედ ვიყავი, შენ მის გვერდზე გქონდა ბინა? ნუ თუ ამ რბილ სარეცელზე... და ეს ბავშვი, ასე ნახად რომ მიცინის, ასე ცქვიტად რომ შემოხტა ჩემს მუხლებზე, პაჟა ქუსლებს რომ მიქირებს და იძახის: „ჩუ, ცხენო!“ ნუ თუ მართლა, ნუ თუ მართლა მის ალერსში შეგეძინა?

დიდხანს ეელოდი, დიდხანს ვყავდი ტყვედ ტყილ ოცნებას. როს ღამით მთვარე სხივს აფრქვევდა ჩემს ბნელ საკანში, იმისი სახე იხატებოდა მდუმარ კედელზე და მე შგონია, რომ იგი ხშირად მოდიოდა საპატიმროში, ევედრებოდა უღმობელ დარაჯთ, მაგრამ ისინი არ უშვებდნენ ჩემს სანახავად. ესლა სან არის? იქნებ წარსული მოაგონდა ჩემს დანახავზე? იქნებ არ სურს მიხილოს? თუ ასე არის, მითხარი მაღე. მე წავალ შორს, აქ თქვენ შორის რისთვისაა დავრჩე?

3.

გემუდარები! გვედრები! ვადაჰკარ ცხენებს. ვამაშორე, ნუ დამანახებთ დავიწყებულ სამშობლოს მთის თხემს. იქ ველარ ვპოვე სულის სიმშვიდე, იქ ველარ ეპოვე თავშესა-

ფარი. აღარავინ მყავს, ყველა დაგკარგე: დედა, სატრფო, მეგობარი. უტხო მწარეში ვავატარებ ჩემს სიყმაწვილეს, ჩემთვის ერთია სადაც უნდა მისწროს სიკვდილმა: სადაც უნდა ჩავსვენო ცივსა სამარეს არვინ მომიტანს ყვავილთ თაიგულს; არვინ დამაფრქვევს ტრემლებს მწუხარეს. ვისთვისაც ბედი მე გავიშვარე, ვისთვისაც ვრეკდი დამირულ ზარას, ის მონად ქმნილი მონობას უმღერს, სიცოცხლის მიხ.ნს მსხვერპლად სწირავს ბოროტების ღმერთს.

გემუდარები, გვედრები ვადაჰკარ ცხენებს! სადა? სით? ჩემთვის ერთია, ოღონდ კი მაღე: ვამაშორე იმედის ნანგრევთ.

მის. ხომალტნიშვილი

მ შ ი ა დ ე დ ი . .

მთელი ღღე პაპანაკებაში ნამუშავარი ტიპოთი, საღამოს დაღლილ-დაქანტული, ილაჯ-გაწყვეტილი დაბრუნდა სახლში თოხი იქვე მიაყუდა სახლის კუთხეში, და თვითონ-კი სახლის წინ ჩამოჯდა პატარა ხის სკამზე.

ქალბარა თმა და წვერი უშნოდ აზურდ-გვნოდა, მზისაგან დამწვარ სახეზე ოფლი წურ-წურით ჩამოსდიოდა, ტიპოთემ ოფლი მოიწმინდა, ყალიონი გააკეთა და წვევა დიწყურ-მართამაც, ტიპოთეს ცოლმა, რაკი შენიშნა მოსული ქმარი, თვითონაც გამოვიდა სახლის წინ და იქვე ფეხ-მოკეციო მოღზე ტიპოთეს გვერდში ამოუჯდა.

ორივე ღღემილმა მოიცვა, თითქოს რაღაც გამოურკვეველ ფიქრებს შეებოქა მათი არსება, თითქოს მეტყველების უნარი დაჰკარგოდათ, სიჩუმის დაზღვევას ვერ ახერხებდნენ.

— ანეტა!.. გასძახა ბოლოს ტიპოთემ სახლისკენ დამახებისთანავე სახლიდან გამოვიდა, ძველი დახეულის კაბით, თორმეტ-ცამეტი წლის გოგო მას თითქოს ხცხვენოდა თავის მშობლებს წინაშე-კი, დახეულ კაბაზე ხელს იფარებდა. ტიპოთემ ვერც-კი შენიშნა ანეტას მოახლოებება.

— რას მეძახდი, მამა?



— ერთი, თუ ქალი ხარ, ცივი წყალი დამალევენე.

ანეტამ აიღო კოკა და წავიდა წყლის გამოსატანად.

კვლავ სიჩუქე ჩამოვარდა.

— მართა, ამდღამ ხომ არაფერი გვაქვებამი? იკითხა ისევე ტიმოთემ.

— ქეილი ვერ ვიშოვნივ სასესხებლად, ყველასი გემართებს თითო ოკა და... რა გვექნება... გულ-დაწყვეტით წარმოსთქვა მართამ და თავი დახარა, თითქოს შერცხვა თავის სიტყვსა.

— შშია დედი!.. დედი შშია... შშია...

ტირილით გაიძახის ექვსი წლის ცაცო, სახლის ღვეჯს მიყრდნობილი. ორთავეს ესმით ცაცოს ტირილი, სიტყვა „შშია“ მათ გულს უღახვრავს.

ტიმოთე უფრო მწარედ აჰყვა მოზღვავებულ ფიქრთ. იმისი მხედველობა ერთ წერტილზე გაიყინა, ყალიონი ხელის გულზე გამოზბერტვა, და კვლავ ჩაფიქრდა:

— რაა, რა, ჩენი ცხოვრება?! დღემამეს ვასწორებ, ჩემი ოფლი მიწას ერთვის, და მაინც კუქ-მშვიფი უნდა ვიყო კოლ-შვილითი?.. ეჰ, უბედური კაცის ცხოვრებას არა აქვს საშველი... ხაზინა რალაც დახმარებას გვპირდებოდა, და არც იმან გვაღირსა რამე... მარა ჩემის ნებს მაინც აფერს მისცემენ... თუ რამე დაურიგეს, კიდევ იმათ მისცემენ — ვისაც არ უჭირს... და თუ გინდა მოგცენ, მერე როცხა იქნება, ორ წილად ამოგწვდიან ყელიდან. — ეჰ! — კიდევ ამოიოხრა ტიმოთემ და უფრო ნაღვლიანად ჩაქინდა თავი.

— დღეს ონისიანთ ელენა იყო და ერთი ალიაქოთი დაგვიყენა, ი, რალაც ორი კაპეიკოზა... ჰრა ვქნა, ხომ იცი, ქმარი ომში მყავს... და მინდა გაუგზავნოო*... უჯხრა მართამ ქმარს და თვალღებში შეაჩერდა.

— ნუ დაგვახრჩობს ორი კაპეიკოზა ი დალოცვილი, და — რაცხას გავყიდით და მოგართმევთქო!..

სხვა მრავალ ფიქრებს ეწლა ეს საფიქრალიც მიემატა, თუ როგორ იშოვნოს, რა გაყიდოს... საიდან მისცეს?.. და ტიმოთე კიდევ უფრო ჩაფიქრდა.

— ილიკო სადაა, იკითხა ისევე ტიმოთემ.

— ცოტა ხილი გავატანე დუქანზე გასაყიდათ... და, თუ რამე აიღო, იმის პური დავაბარე იყიდოს...

— დედა შშია!.. კვლავ სტირის ცაცო...

— მოიცა დედი! აფერ ილიკო მოვა და პურს მოგიტანს, აჩუმებს დედა შეილს და გულში იხუტებს...

სდუმან ყველანი... ელიან ილიკოს — პურით, რომ მშვიფიანი ცოტათი მაინც დააპუროს... ცაცო კი მაინც არ სცხრება და დედას ცრემლით კალთას აგლეჯს.

— შშია დედი!.. შშია!.. კვლავ... გააკივის ცაცო.

დ. ჭანჭათელი

ქ ა ლ ი

(ღვეინდა ამერიკელი ინტელისისა)

ერთხელ სამყაროს დამაარსებელმა ვულკანოსმა, სხვათა შორის, განიზრახა ქალის გაჩენა, მაგრამ, სამწუხაროდ, ადამიანის შემადგენელი — ყოველგვარი მასალა უკვე დახარჯოდა კაცის შექმნის ემას.

რადგანაც კაცისთვის ამ ქვეყნიურ ცხოვრების სამომხაროდ უქალობა ერთ უმთავრეს ნაკლავანს წარმოადგენდა, ამისათვის ვულკანოსი შეუდგა ქალის გამოკვერას შემდეგი მასალისაგან: შეავაროვა ყოველი სულიერი და უსულიო არსი და თითოეულ მათგანს ცოტ-ცოტა აართვა:

მისვრა-მოხვრა — გველს; ტიქტიკი — კაქკას; დაუდგვრობა — ქარს; მღელვარება — ჯეჯილს; თრთოღვა — ფოთოლს; სილაღე — აღვის ხეს; სინაზე — ყვავილს; სიმხიარულე — მის სხივებს; სიტკბო — თაფლს; თვალადობა — ქურციკს; შემზოკავი მანქანება — ხლართ ეკალს; ცრემლგინ — ღრუბელს; მწველი ოლი — ცეცხლს და გამაქვავებელი სიცივე — ყინვას.

ყველა ამ ძირითადი ნაწილებისგან ვულკანოსმა შექმნა ქალი და არც გასაკვიროლია, რომ ქალი ხშირად გაუბებარი ამოცანაა.

ჭიჭიკო



სასოციალ. მოღვაწენი

თევდორე დავითის ძე ჟორდანი

„აწმყო შობილი წარსულისაგან არის მშობელი მომავლისაო“, სიტყვა ბრძენმა და თუ ეს უცილობელი კეზმარიტებაა, ყოველის ღონისძიებით უნდა ვცდილობდეთ ჩვენის წარსულის შესწავლას, წინა თაობის ნამოღვაწევის გაცნობას...

ჩვენი წარსულის ერთი მხნე და ბეჯითი შემსწავლელთაგანია უკვე დამსახურებული მოღვაწე-მწერალი თევდორე დავითის ძე ჟორდანი, რომლის შესახებაც ჩვენს პრესაში ხშირად ატეხილა ალიაქოთი, მაგრამ რომლის სამეცნიერო შრომასა და საენათმეცნიერო კოდნას მუდამ პატივით ინსვენებენ.

განვლილი საუკუნის ქართველობა მოჯადოებულ წრეში მოექცა... შეიქმნა იეთი პირობები, რომ ბევრს გულწრფელ მოღვაწეთაგანს ორ ცეცხლ შუა უნდა ეტრიალნა, რომ ცხოვრების ღელო გაეტანა: შეერსულბინა გარეშე ძალთაგან დაკისრებული მოვალეობა და თვისი სამშობლოს სასიკეთო გულისთქმაც არ ჩაეკლა... ბევრი, ძლიერ ბევრი ქართველი მოექცა ასეთ ორქოფ მდგომარეობაში, მაგრამ ბევრმა-კი ვერ შესძლო ამ მძიმე ბრძოლიდან სასახლოდ გამოსვლა:—ბრძოლა მარჯვნივ და მარცხნივ, სახელმწიფო მოთხოვნრილებასა და ეროვნულ მისწრაფებათა შორის გზის გაგნება, სამშობლო ქვეყნის სიყვარულის, თვისი საიდუმლო იდეალის შენარჩუნება ძლიერ ცოტამ შესძლო...

ერთი ამთავანია ზემო ხსენებული თევდორე დავითის ძე ჟორდანიც, რომელიც აგერ მწ წელზე მეტია, რაც დაუღალავად მოღვაწეობს სამასწავლებლო, სამეცნიერო-საისტორიო თუ სამწერლო ასპარეზზე.

თ. ჟორდანი დაიბადა 1854 წ. 20 აპრ. დედა სიყმაწვილეშივე გარდაცვალა, მამა-კი ბერად შესდგა და აფხაზეუს გამოწესდა მისიონერად, რის გამოც პატარა თედორე იზრდებოდა ჯერ თვის ძიძის, მერე მამიდის სახლში და ბავშობიდანვე შეუყვარდა ქართული ხალხურ-ეროვნული კულტურა.

სწავლობდა ჯერ ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში, შემდეგ თბილისის სემინარიაში, რომლის გათავების შემდეგ, როგორც საუკეთესო მოწაფე, მთავრობის ხარჯით გაიგზავნა სასულიერო აკადემიაში, რომელიც ჩინებულად დაასრულა 1879 წ. ამავე წლის ენკენისთვეში გააწესეს მასწავლებლად თბ. სას. სასწავლებელში; სამღვდლოების კრებამ მალე ამ სასწავლებლის ზედამხედველად აარჩია (სამღვდლოებას მაშინ ეს უფლება ჰქონდა). შემდეგ გადაიღა სემინარიაში, საცა 1896 წ-დე დაჰყო. სემინარიაში მასწავლებლობის დროს ღრმა კვალიც დააჩნა: მისი მეცადინეობით დაარსდა საშტატო კათედრა ქართული ენისა და ისტორიისა, რომელიც თავიდანვე ეჭირა. მისი მოწაფენი იყვნენ: ლენიდე, დავით და ანტონ ვისკოპოსნი, ნოე ჟორდანი, თ. სახოკია, იბ. ვართაგავა, ს. გორგაძე, მ. კორ. კეკელიძე, ფ. გოგრიანი-შვილი, მ. კელენჯერიძე, გ. იმნაიშვილი და სხ. სემინარიაში მასწავლებლობის დროსვე შეადგინა ქართული ენის გრამატიკა (1889 წ.), რომელიც დღესაც ერთ საყუარდებო სახელმძღვანელოდ ითვლება. 1896 წ. ჯერ გურიის სამეგრელოს, ხოლო შემდეგ (1904 წ.) იმერეთის საეკლესიო სკოლების მეთვალყურედ გააწესეს, სადაც ქართული ენის სწავლება გააჩაღა, თუმცა სდენიდან კიდევ და სამსახურიც 1911 წ. იძულებით დასტოვა (სხვათა შორის, უსაყვედურებს — „რუსული ენა ცუდით ისწავლებოა“). ბოლოს პიტრიმ ექსარხოსმა ეპისკოპოსობა შესთავაზა, მაგრამ არ იკისრა და ამ ფაზდ გორში ცხოვრობს, სამეცნიერო შრომით გართული.

ბრავ:ლ საგაზეთო წერილის გარდა, დაწერილი აქვს რუსულად: 1) Святѣйшій Синодѣ при Петрѣ Великомѣ (1884 წ.); Философiя Платона (188 წ.). ქართულად შეადგინა—კატალოგი საეკლესიო და წ. კ. ს. მუზეუმებისა, ქართლ-კახეთის მონასტრების ისტორიული საბუთები და სხვანი, მაგრამ იგი უმეტესად ცნობილია, როგორც ქრონიკების შემკრებ-გამომცემელი... და მატლაც, თუ გვსურს ჩვენი წარსულის შესწავლა მტკიცე ისტორიულ-მეცნიერულ საბუთებზე იყოს დამყარებული, —უპირველეს ყოვლისა საქი-

როა შეიკრიბოს ყველა ის ძველის-ძველი საბუთი, ხელქმნილი ძეგლი, რომელიც ჩვენს ქვეყანაშია მრავლად გნებ ნტული. ქრონიკების მხოლოდ-ორო დიდი წიგნია გამოცემული (1997 წ.), მესამე წიგნი კი გამომცემელს ელის. ბოლო ხანებში დაწერა „მოკლე სიტყვა დიდ საქმეზე“ და ჰარაბების შემოსევა საქართველოში მე-VIII საუკუნეში⁴. იგი ცნობილია პრაქტკულ მოღვაწეობითაც: აგროვებდა ქართულ კულტურის ნაშთებს (ადიოდა, მოწაფეებს აგროვებინებდა), შეადგინა ფირფიტების კოლექცია, ერთერთი დამაარსებელია ტართ. ვინაზისის სასკოლო საზოგადოებისა, საეკლესიო მუზეუმისა და სხ.

თ. დ. ჟორდანიას ჯერ კიდევ ჯანდონით მრთელია და ქაბუჯურის გატაცებით ემსახურება სამშობლო ისტორიის კვლევადიებას, ვითარცა ერთი საუკეთესო შტოდენთავანი ქართული საერო და საეკლესიო ისტორიისა...

იოსებ არიმათიელი

მ ს ი უ ლ ე ბ ი

კ ნ უ ტ მ ა მ ს უ ნ ი

(დასასრული. იხ. „თ. და ც.“ № 42)

შემაქმედისთვის ძვირფასია როგორც ტისკარი ჩვენი სულისა, ისე მისი შწუნობა. სულ ერთია, იგი მარმარილოდან გამოჭეკვთს მიქელ ანჟელოსავეთ რომელიმე ცოცხალ სხსეს, რომელსაც გაღვიძებაც კი შეუძლია, რაც მას შემაქმედა უბრძანებს.

ან არა და ფერთა ქაღისთი გამოაჯრთობს რომელიმე მონას დიხას დედაებრე დიპლას.

ან არა და მომაკვდავად მამანის სიტყვებით უკვლავ ღვკის შექმნის ა ღა „Über allen Gipfeln ist Ruh“^{*)}.

ათინაში ერთი კანონი აუთ, რომლის ძალით მხატვრებს ნება არ ჰქონდათ სიმახინჯე ხელოვნების საგნად გაეხადათ, — მაგრამ ეს უბრალო აღმამაური მოსახრება ხელოვნისთვის არ არსებობს.

ერთმა ცნობილმა ბერძენმა ეპიგრაფისტმა იოსებურა ერთ უმეტესად, მახინჯად აღმამაურად:

„რინ დგახატავს შენ, რაცა შენი შემოხევაგ არავის უნდაა“.

რომელიმე თანამედროვე ფრანგ შტუკა-იკეტოდა იმავე მახინჯად: აუგ უხამსი, უშინა ახამსი, შე მაინც გადგახატავ. დეე, ნურავინ შემოგხედავს; შე გხატავ იმდენად კი არა, რამდენად იგი შენი ხატებაა, არამედ რამდენად იგი ჩემი ხელოვნების დამატკიცებელია^{**)}.

სელოვანისთვის ძვირფასია, როგორც სიმშვენიერე, ისე სიმახინჯეც

ქამსუნისთვის მახლობელია როგორც მინუტა ისე ნადედეგ.

აქ, სადაც ტანჯვის თესლია განებულია, ძქვე, იმავე ხნულზე მშვენიერება აფერის ტანს.

ქამსუნის ყოველი სტრატონი, ცხადია, რომ ტანჯვის ზღვას ამოვლელია.

„არც მერტი და არც ნაკლები“, ეს ლაიტ-მოტივი აუთ ყოველ ჭეშმარიტ ხელოვნისთვის ძველ ჭეღვდაში, და არ მტონას, რომ მოდერნულ ლიტერატურაში თუ კიდევ აფის ისეთი შწუნადი, რომელსაც ისე ჭქონდეს შეგნებული ეს პრინციპი, როგორც ქამსუნს. იგი ძუნწია სიტყვაში, მაგრამ ყოველი მისი სიტყვა ახალი სხამს ნაწილია ყოველითვის.

ჩვენსას — (ასეღი მიწა^{***}), ამბობს ავტორი, თითქმის შეუმწეველი ნაჭუჭი ჭქონდა დედაზე, მაგრამ რაც იცინიდა, ეს დიდებობა — და ისეთ მშვენიერ აერს აძლედა მისს სახესა, ამის მერტი არაფერია ნათქვამი და სურათი უკვე მზადაა.

ეს სახე შე გერძოდ არასოდეს დამაგვიწყება.

ერთი სახე ზატარა, უმინაშენელ ნაჭუჭით. . . ისეთი სხარტული სურათის დასახატავად ზოგიერთებს მთელი ნავედვარი დასჭირდებათ სიღმე სიტყვებისა.

„Keine Sachen weder zu viel, noch zu wenig zu — tun“.

ეს პრინციპი თუ ბერძენის კარგად ესმითა, სამაგეროდ დედაც განცდიფერებაში მოჭეკვის პრაქსიტელდეს მთელი მოზოროვნე კაცობრობა, აღმამანს გუკურა მთელ ოლიმპიურ ლეგენდებში მითხრობილი ამბები — და გვინია, რომ აქ, ამ მადლიან მიწასზე მართლა დმერთებს უცხოვრიათ, უქმნიათ უკვდავი ქმნილებანი და მერე მოსწყენიათ

*) ცნობილი ლექსია აიოთესი — სიკვდილის წინა დღეებში დაწერილი. კ. გ.

*) Les. Laok, 13 გვ. **) ფიშერის გერმანულ თარგ. ლაიპც.



დღუთაბრე თადმიანს მთა, თუ რადან დუტოვე-
ბით, ეს დღითი კურთხეული მიწა, რომელიც
სხუ უხვად აძლედა ხელფანთ უგულუ ქანდაკბა-
თათვის სსჭირთ მარმარდელს.

ჟერ არც ერთ ნადიანს ისე ღრმად არ შეუ-
ცნია ადამიანის ზღვა სულში დამარხული ალმა-
ნები, როგორც ჭეღაღელეებს.

არც ერთ ხალხს ისე გუნდრეოი არ უამეგია ჭემ-
მარტობისათვის, როგორც მათ, მათ, რომელთაც
მშვენიერება და დღუთაბა ინდენტურად ჭქონდათ
წარმოდებნილი.

ოქ, სვადან ადამიანებს ტანისამოსის ჩიშის
რცხეობდათ, ოქ, სვადან მშვენიერ ტანის ზატ-
როსნ ძეგლს უგებდნენ. ოქ, სვადან ხელაყნე-
ბის ზანთოქის დმერთები და ადამიანებთა გაურთი-
ხიანთ.

ეს მზინღიბა, როგორც ვთქვი, ჭამსუნსაც
შესისხლხორცეული აქვს.

აქ არის მისმტაბი, კრიტერეუმი ეოველი
ღრთის ხელფანისათვის.

საკვირველად სანდრო ეპხეგვის გმირების
სიყვარული, რადან თავისებურთა.

არა ნაკლებ საფაზია ჭამსუნის გმირების
ტრეობა.

ჩვენს წინ დგას ნახ ვიქტორიანს, ჟოჟტ ედ-
ვარდის და ჟინიან ტურეზას სახეობა.

განა ეს სისხლიანია ისტორიას არაა სიყვა-
რულის, რომელსაც ავტორი სამართლიანად უწო-
დებს „სიცივის ხანძრეწკალს“, სიცივის ხანძრ-
ეწკალს სისხლში, რომელიც მეფის მათე თავს
მტვერს ახვეტაებს ქ ჩრით და მხოხურ ბერს
უსიონტევიდო სიტუებს აშეოთხიანებს.

შენგან მეფე მიანს ეუმოს“ იტრედა ალიქ-
სანდრე ჭავჭავაძე მათეუ ალბად.

ჭამსუნისებურ სიყვარულე დიდი ხანია ჩანც
დალოცვილმა ჭიანემ სიქვს: „Ein Juglin liebt
em Madchen“ („უუყვარს ჭაბუკს ქალწული, იმის
მეორე და სხვა“)

ჩვენი, ჭი, რომ მართლად ეს უერთი ძეველი
ამბავის და მუღამ ახლად დარჩება“.

და რა ეყო სიყვარული, გრდილი ჩიავი, რომ-
ელიც ვარდებში ბუტბუტებს. არა, სიყვარული
სხვა ეყო

იგი დღითის ზირველი სიტუება, —

და რქვა უთაღმა: ითავუ ნათელი, და გპნ-
და სიყვარულია.

მაგრამ სიყვარული იგი მისი გმირებისათვის
„სხალალობა“ განართობა როდა: იგი გლანს
ეგას, ტებელ მორტეოალე ეგას სიღრცხლედ
უზის.

განა სიყვარულია არ ქნა ის, რომ ვიქტო-
რია დასრულდა...

განა იმისთვის არ დავლუმა ნორვეგიის ერთ
ზღვის ზიბა ქალაქში ნადელი?

თვით გლანც, ავანტიურისტი გლანი იმის-
თვის არ გიპრს ღობი ტარეილეოთ ინდოეთის
ტუქებში!

ეს რადან ზღაზარია, ჭემმარტად ზღაზა-
რი, რომელიც გვჯერა.

ტარეილი თუ გინდ სსშუალო საუკუნის გმი-
რია, მაგრამ გლანი რამ შეშალა—გლანი, რომე-
ლიც ჩვენს ღრთს ცხოვრობდა, ისეთ ღრთს, როცა
ადამიანებს უკლის ტრევილია“ უერთო ჩუქის
ტრევილია“ აწუხებს.

რა მშვენიერია, რა რომანტიულია!

ისევე ვითხულობ ამ სისხლით დაწერილ
სტრაქიანებს, ამ ბუმბერაზულ, მაგრამ ჩემ ბრძო-
ლას ადამიანის გულს და ჟინს შორის, ხედავ
ამ ზირ ტასისხლიანებულ ადამიანებს, რომელნიც
ჩქავეგრ იმას, ვინც თვითვე უყვართ.

და გატონდებთ უნებურად გითათეს უგულ-
ვი ლექსი:

„Alles das Neigen
Von Herzen zu Herzen
Ach so viel eigen
Schaffet das Schmerzen“.

ჯ. გამსახურდია

მიუნენი, 2 ივლისი.

ომი და თანამედროვე

ლიტერატურა

ამ რამდენიმე დღის წინედ ხარკოვის სხლი-
ტერატურა-სამხატვრო წრის დარბაზში კარგად
ცნობადმა ლექტორმა ა. ა. სტანკევიჩმა წაიკით-
ხა ლექცია შემდეგ თემაზე: „მთბილიცხლია
ლიტერატურისა“. ლექტორმა კაცნო საზოგა-
დოებას თანამედროვე რუსული ლიტერატურა,
რამდენადღაც იგი არის გამოცხატული ამ ომა-
ნიობის ხანის და რამდენად იგი აშუალოდღებს
დღევანდელ მოათხიანებებს მკათხველი საზო-

გაღებისას. შემდეგ მაგალითად მოიყვანა არც-
ბაშუვის ბიკის „ომი“, ანდრეევის უკანონი, მე-
ფე და თავისუფლება“ და მრავალი სხვა და ის
აზრი გამოსთქვა, რომ ეს ნაწარმოებნი უფრო
ფოტოგრაფიულია, სინემატოგრაფიული, ვიდრე
მხატვრული ლიტერატურაო. ეს ნაწილი ნაწარ-
მოებთა მან მიაწერა მას, რომ თანდა დევნებამ-
დის რუსის ლიტერატურა და მთრებულები იყო თა-
ვისი სამშობლო ნიადაგს, რუსის მწერლები არ
იღნობდნენ ხელს, სამშობლოს იმდენად, რამ-
დენათაც დღეს საჭიროებამ დავგანახვა. მიუხე-
დავით ვეკლა ამისა დეკლარირი მაინც ამქდის
თვალთ უცქერის თანამედროვე ლიტერატურას.
ამის მაგალითად მოიყვანა ად. ტალსტოი („მო-
თხრობები იმის შესახებ“, აკურევი („მოწინა-
ვე მოზიციებზე“), კუზმინა („წიქსეაღი“) და
სხვა. ვეკლა ამ მწერალთა ნაწარმოებნი უფრო
რეალურნი არიან, თანამედროვენი; მათ ნაწარ-
მოებში ნათლად გამოკრთის ხელხის სულის კვე-
თება: იმედი გამარჯვებისა, ვაჟ-კაცობა, სიფხიზ-
დე, სიადნეჟ და სინ. დისიორთობა რუსის სალ-
დათისა და სხვა. მაგრამ მაინც უმავთფილია
დეკლარირი; ავი რუსულ ლიტერატურას მისთ-
ნობეს უფრო მეტს და ამ სურვილს გამოთქვამს
ასე: რუნდა მოხდეს ლიტერატურის მოზიციზა-
ცია“. ლიტერატურამ უნდა შექმრიბოს თავისი
ძალები. უფრო ნათლად უნდა გამოარკვიოს და
დაგვისურათოს დღევანდელი მდგომარეობა.

სიტყვა „მოზიციზაცია“ ლიტერატურისა-
თვის მე მკონია ძალიან შაბლანური უნ-
და აუფეს. შესაძლებელია მოზიციზაცია სათა-

დარიც. ჯარის-კაცებისა, მოლაშქრებისა, ცხენს-
ნებისა, მხალად ლიტერატურისა კი... ზირული
კაკონება. განა შესაძლებელია მოზიციზაცია
ლიტერატურისა? განა შესაძლებელია ლიტერა-
ტურის წესარი და ნადიმი მუშაობა იმ დროს,
როდესაც მთელ ვერობას ქარ-ცეცხლად მოსდებთა,
როდესაც ზარბაზნების კრიტულში, ჭეჭა-ქეჩილ-
ში ითვლებს ცივილიზაცია, ხელაფნება, ამხე-
რევა და ზირქვე ემხობა: ხელაფნების ნაშინი,
ტადრები (რეიმისა და სხე)? განა შეუძლიან
ლიტერატურას ფეხდაფეხ მიეღოს დღევანდელ
უბედურობისა?! ეს რომ ფოტოგრაფია იქნება.
ლიტერატურა ესაა ვერაფერს იტყვის, ვერაფერს
ასწერ-განმარტავს. მხალად როდესაც მოვა
ხანი, გამოარკვევა დღევანდელი მდგომარეობა;
შესწავლავს ზარბაზნათა ჭეჭა-კრიტულად, როდესაც
მწერალსაც ცოტათი მაინც შეუშრება თვალზე
ცრემლი ნათესაყების იმში დაღუბის შესახებ,
როდესაც დღევანდელი უბედურება, ჭირ-ვანამი
გახეხვავს მოვანების ნახ ბურუსში, აი მაშინ,
მაშინ შეუძლიან ლიტერატურას მისცეს მეთხველ
მასხას სერობსული, დინება, მხატვრული ნა-
წარმოები. თვით და. ტალსტოიმ თავისი დიდკ-
ბული ნაწარმოებნი დასწერა 50 წელს შემდეგ
იმისა. ასე რომ არ არის გასამტყუნებარი ლიტე-
რატურა, თუ თანამედროვე ცნოვრებიდან არ მო-
გავწყდინს ნაწარმოებს, რაც შეუძლებელია და
ამახუ დაზარალებს ზედმეტად. გავა ხანი და
ლიტერატურაც მაშინ დაზარალებება, აინთება...

მის. ლომიძე

ქ. ხარკოვი.



ალბუმები

გაივლის ჭამი, და ოდესმე ეგ სიტყვათ წყარო.
მაგ შენ გულივით სივ ქალღღრმე აკრემლებული,
სულ უნებურად მოაწყვეტს თვალებს, ჩემს დამწველ თვალებს.
გეტყვის ჩემ წარსულს, მწარე წარსულს ხავს მოღებული.

და მეც ვნუგეზობ მზლოდ იმით, რომ იმ წამს მაინც,
შენ სულს აღავზნებს ფიქრი მწარე შეცოდებისა,
იტყვი: ,,ვეუვაზრი უანგაროთ და სამარეში
თან ჩაიტანა წყევლი-კრულვა შავის ბედისა“....

ცვარ-ნამი



უფ. უნტ. ოფ. შ ბ.
ჩხაიძე
ავტორის სახ. დაკრილი.
საავადმყოფოში წყვს. წარ.
პოდროპორჩიობაზე.



კანტონ სიცოცხლე

ზრუნვა,
ფუსფუსი,
შეება,
წვალება,
სიტკბო,
სიმწარე
და მწუხარება
მიღის,—
უჩ-ნარდ
მიიპარება,
კვდება და
ჰქრება
როგორც
ზმანება...

გ. ქუჩიშვილი



ბატრი ნიკოლა

თანამედროვე გიორგი მეფისა და მისივე დიდი მრჩეველი, მომხრე ქართველთა სამეფოს არსებობის; მეფის აუწყა, მეფობა და ერთ სხვათაგან დამოწმებული, ყოველთვის დევნულ-დაცინებული იქნება... რაკი გიორგი მეფე საქართველოს რუსეთს უერთებდა, ამიტომ მეფეს მოსიკლდა და ქართველთა დარბაისელთ ურჩევ-და დრანგთა მსგავსად სარესპუბლიკო წესების შემოღებას საქართველოში. იგი იყო ღრმად მორწმუნე კათოლიკე, მაგრამ რაკი ქართველთა ცხოვრებაში ნახა ყოველივე დამხობილად, მერე რესპუბლიკის მხარეს გადავიდა.
(ზ. კიკინაძის „ქართული სტამბის ისტორიიდან“)

ბელი ქართლისა

ისტორიული ქრონიკა 4 სურათად
(გაგრძელება იხ. „თ. და ც.“ № 42)

ოთარ. მოგვხსენება, დედოფალო, რუსთა იმპერატორის უმაღლესისა ბრძანებით, მეფე გიორგის ზავის შეკრულობის თანხმად, გიორგი დამტკიცებულ იქმნა საქართველოს ტახტზე და ძე მისი ბატონიშვილი დავით, მისს კანონიერს მემკვიდრედ.

დარეჯან. ეგ ვიცი დიდი ხანია! შენ სხვა რაჲ სთქვი, სხვა ახალი რაჲ!.. გიორგის ძმები?

ოთარ. გიორგის ძმები არ დამორჩილდნენ მეფეს. ბატონიშვილმა ალექსანდრემ სპარსეთის შაჰი ბაბა-ხანის მხარი დაიჭირა და ახლა იმის ლაშქარში ბრძანდება, ერეგის ხანთან და საქართველოზე გამოლაშქრებას აპირობს. სხვა ძმანი, ბატონიშვილნი: იოანე, ბაგრატი, თეიმურაზი და იულონი. გიორგის ბრძანებით გაქვევებულ არიან და ალექსანდრესთან მიკვდლებას აპირობენ და...

დარეჯან. ოჰ, რა დრო დავგიღვა, რა დრო!.. უღალატებს ყველას იმათ ალექსანდრე და ბაბა ხანი დახოცვინებს სუყველას!..

ოთარ. არა, დედოფალო! შეგას ვერ იზამს. ბაბა-ხანმა იცის, რომ აქ რუსთა ჯარი სდგას და რომ კიდევ ერთი პოლიცი გვემატება. იცის, რომ აქ მყოფება რუსთა რწმუნებული ვეზირი და ამიტომაც ბაბა-ხანმა თავისი ელჩი გაახლათ გიორგი მეფესთან, ჰაჯი-იბრაჰიმ-ხანი, შერიგებაზე მოსალაპარაკებლად. ხვალ იხანბულებს გიორგი მეფე ელჩს, აქა, ამ დარბაზში, კოვალენსკის თანადასწრებით.

დარეჯან. გიორგი მეფე!.. ჰმ!.. იმისი ავადმყოფი სახე, მორჩილებისა და თავმდაბლობის გამოზნატავი, უეცრად ისრე იცვალა, რომ ახლა დიდებულიობითა და შეურყეველის ნება-ყოფლობით და ვაჟ-კაცურის გრძნობით გამოჰბრწყინვალგბს! საიდან ეს?

ოთარ. რუსთა იმპერატორის ძალით, რომელმაც გიორგი თავის სხნასა და განრინებასა ჰხედავს!

დარეჯან. მშობელი მამისა და მეფის წინაშე უპატივობისა და დალატობაშა დაბე-



ზღებულო, გიორგი ვერას გზით ვერ გაიმართლებდა თავს და რომ ჰნახა თავისა მოწინააღმდეგეთა მეცადინეობა, რომ სამეფო ტახტიდან მოეშორებინათ გიორგი—მოერიდა ყველას, ვითომც და გულ-გრილობა გამოიჩინა საერთო საქმეში, დღისი-მოშიშობას მიეცა და ამით სუყველას აუხვია თვალი, დააჯერა, ვითოც არა სწაიდა რა და რაც რომ უფრო მეტად უნდა დაემალა გულში თავისი უფრის-მიება და უფლების მოყვარულობა, უფრო ძნელი უნდა ყოფილიყო იმისთვის ამისთანა თვალთ-მაქცობა, მტკიცე ხისითი უნდა გამოეჩინა, უღრეკელი, რომ ბოლომდისინ გაეტანა თავისი მოლაღატობა—და გასტანა კიდევც... ცრუ, მატყუარა! რუსთა იმპერატორის წყულობით ჩვენ მეფედ გახდა!.. მაგრამ დიდის ხნობით-კი?!

ოთარ. აგრე რადა ბრძანებ, დედოფალო?! გიორგი რომ გამეფდა, ეგ ხომ თვით ნეტარსენებულები ერეკლე მეფის სურვილი იყო, რომელიც თავის წერილში თვითონვე აღიარა და . . .

დარეჯან. ცრუ! მატყუარა! მოლაღატე!.. განა გიორგიმ არ უღალატა თავის მამას, ერეკლე მეფეს, კრწანისის რეზნი? ფიცხელი და საშინელი შეტაკების დროს, გიორგი გამოვიდა ბრძოლიდან და თავისი მეომარნიც გამოიყვანა... ერეკლე კი იმის იმედით იყო, და ჩემი იულონი რომ არ ყოფილიყო, ერეკლე იქვე დაიღუბებოდა... აი, რა ჩაიდინა გიორგიმ!.. მოლაღატე, მშვიშარა!.. მაშინ, კოტა გაწყდა არ დაიღუპა მთელი საქართველო, მშობელი —მამის ღალატით და ახლა... ახლა, რომ გამეფდა, ჩვენ სუყველას დღუპვას გვიშადებს, ქართლის რუთა ხელში გადაცემით! რისთვის უნდა რუსთა ხელმწიფეს ჩვენნი ქართლი? როგორ და რაში გამოიყენებს?

ოთარ. დედოფალო! გიორგი ასრულებს ერეკლე მეფის აღთქმულს სურვილს. შენ თვითონ, დედოფალო, კარგად უწყი, რომ ერეკლე მეფეს უნდოდა რუსთა ხელმწიფესთან შეერთება, მაგრამ სიკვდილის მიზეზით ვერ მოეწონა იმ დროს, ახლა გიორგი ასრულებს იმ საქმეს, რომელსაც თვითონაც თანაურბრძნობს და ჩვენი წარჩინებულები ახვადობაც თავს

ნახმა არის; ხალხი კი ამაში თავის დახსნას მოელის. რუსნი ჩვენი თანამორწმუნენი არიან. რად გენდა ჩვენ სპარსნი ან ოსმალნი? ისინი გამოგვაცვლენებენ ჩვენსა მართლმადიდებლობას, დავიკტევენ ჩვენსა სამლოცველო ტაძართ-ეკლესიებს, რუსნი-კი, პირიქით, უფრო ხელს მოგვიწყობენ ჩვენს ქრისტეს სჯულში.

დარეჯან. ეგ მე არა მჯერას! გიორგი გვღუპავს ჩვენ ყველას და თვით საქართველოსაც დაპლუპავს!

ბაგრატ. დედოფალო! ფრთხილად უნდა ბრძანდებოდე, თორემ შეიძლება ვაგთქვან და დაგაბეზლონ მეფესთან. შენ ხომ მოგეხსენება, რომ თვით გიორგი და იმისი მეუღლეც, მარიამ დედოფალი, შენი წინააღმდეგნი არიან!

დარეჯან. მარიამი რაღად არის ჩემი წინააღმდეგი?

ბაგრატ. იმიტომ არის, რომ შენ ითხოვე ყველასგან, მარტო შენ გისენიონ ჩვენს დედოფლად და მარია ს-კი შენს რძლად უწოდონ!

დარეჯან. სწორედ აგრეც უნდა იყვეს!.. მე ვარ სრულის უფლებით მოსილი თქვენი დედოფალი და არა ის! ის მხოლოდ მეფის ცოლია, რომელიც ჩვენ სულ ყველა იმის ნათესავებს მეფედ არ მიგვაჩნია. ლამაზი, ანჩხელი და კვასის, როგორც უნდა ისრე ატრიანლებს თავის დასწრეებულს ქმარს... მძულს მარიამი, მძულს!

ბაგრატ. ფრთხილად იყავ, დედოფალო.

III

იგინივე და გიორგი მეფის ქეშიკი.
ქეშიკი (გამოდის გიორგის ოთახიდან. დედოფალს მძიმე საღამს მიართმევს და ეტყვის ოთახს) მეფე გიბრძანებს, ბატონო ოთარ!

ოთარ. ახლავე! (დედოფალს) მზატივე, დედოფალო, უნდა გიახლოთ აქედან,—მეფემ თავისი ქეშიკი მომიგზავნა, მიხმობ! (ოთარს და ქეშიკი შეუღებს გიორგის ოთახში).

IV

დარეჯანი, ბაგრატი და ქალთა ამალა
დარეჯან (ოთარს უკმაყოფილოდ თვალს გაუფიქვს) მეჯავრება მე ეს ოთარი! გიორგის დიდი ერთგულია და მეგონა, რომ ორპირი უნდა იყვეს! (სიჩუმე) ბაგრატი! რას ამბობდი,



რომ ფრთხილად ვიყვე? რომ შეიძლება გამ-
თქვან და დამაბეზლონ?.. შენ ხომ არ მიპი-
რობ დაბეჭდვას? იქნება ოთარმა ანუ ამ ქა-
ლებმა გამოთქვან?.. მე მაგისი არ მეზინან!
გიორგი შეიძლება მეფედ იყვეს ოთარისათ-
ვის, შენთვის და თავისი ლამაზი და კაპასი
კოლნისათვის და არა ჩემთვის! გიორგი არის
კრუ მვეფ, კრუ-მოსახელე! საქართველოს
ნამდელი მეფედ უნდა იყვეს ბატონიშვილი
იულონი და სხვა არავინ!

ბაგრატ. რქნება აგრეც იყვეს, დედოფა-
ლო, მაგრამ ჩვენ არ უნდა დავივიწყეთ, რომ
ერეკლე მეფის ტახტზე გიორგი დამტკიცე-
ბული არის რუსთა იმპერატორის პავლე პირ-
ველისაგან.

ღარეჯან. დამტკიცებული!! დამტკიცა
იმიტომ, რომ გიორგიმ მოატყუა იმპერატო-
რი და სულ ყველამ მოატყუა, რომ ჩემი იუ-
ლონის სახელი დაუშლეს! მაგრამ ამას ჩვენ
გავასწორებთ! (სიჩუმე) ბაგრატ! მე მჯერა
შენი ერთგულება, თუმცა შენ გიორგის ცო-
ლის, მარიამის, ზიდაშვილი ხარ, მაგრამ ვიცი,
შენ ქვეყანი კაცი ხარ და სამართლიანი, მაშ
ყური კარგათ დამიგდე, რასაც გეტყვი!

ბაგრატ. ჩემს ერთგულებაზედ ექვს ნუ
დამწამებ, დედოფალო, და ნურც ჩემს სამართ-
ლიანობაზე, შენ შეგიძლიან მომანდო ყოვე-
ლი საქმე, ოღონდ-კი ჩემთვის შესაძლებელი
იყოს.

ღარეჯან. შეუძლებელ საქმეს მე შენ
არ მოგანდობი ოთარმა ახლა მომახსენა, რომ
ყველა ჩემი ელჩი, სულთანთან წარგზავნილ-
ნი, მეტეხის ციხეში პატიმარს არიან. ბაგრატ!
განათვისებულენ ისინი უეჭველად და როცა
თავისუფალს იქნებიან, ჰკლდოდ გიბოძებ
ყველა იმას, რასაც კი მოისურვებ! დაეხსენი,
წავიდნენ თავიანთ გზით, დაეხსენ შენს რუ-
ლონ ჩემი მინდობილი საქმე. ღამით, მალე-
ლად, წავიდეს ზოგი კახეთს, ზოგი ქართლს,
იქაურს თავადებთან, რომ ჩემი იულონი გა-
მოაცხადონ მეფედ და ხალხიც დააფიცონ იმის
ერთგულობაზედ. ამნაირად ისინი გიორგის
ჩამოაყენებენ ტახტიდამ, რომელზედაც ყოფ-
ნის ნება გიორგის არა აქვს, მაშინ ჩვენ ვაგი-
მარჯვებთ .. იულონი, როგორც მე, რუსების

წინააღმდეგია. ჩვენ რუსნი არ გვინდა; ჩვენ-
თვის სულთანი არის საქირი.

ბაგრატ. ახლა მაგისი შესრულება არ
შეიძლება, დედოფალო!

ღარეჯან. რატომ მერე? ამ უკანასკნელ
დროს, ხომ დავითიც, ეს ახლად გამოიმცხა-
რი მემკვიდრე გიორგისა, რუსთა მოწინააღ-
მდეგე გახდა. შენ ვანა არ იცი, რომ დავითი
კოვალენსკიზე და ლაზარევიზე დიდად უკ-
მაყოფილა, რომ სამეფო საქმეების გაშვებ-
ლობაში წილს არ უღებენ. გიორგის სნეუ-
ლობისა გამო, დავითმა ახლაც მოიწადინა
ტახტზედ აბრძანება და აწ ცდილობს რითიმე
აგნოს რუსებსა და იმ ქართველთაც, ვინც
გიორგის მომხრე არიან.

ბაგრატ. რასაც შენა ბრძანებ, დედო-
ფალო, ახლა მაგისი შესრულება შეუძლებე-
ლია იმიტომ, რომ შენ ცდილობ თავდაზ-
ნაურთა აჯანყებას გიორგის საწინააღმდეგოდ
და ხალხის ამბოხებასაც. ეს იცის თვით მეფე-
მაც და რუსთა ვეზირმაც და იმათ ყოველი
ზომა მიიღეს, რომ ჩაშლონ შენი წადილი.
დავითი რომ რუსთა წინააღმდეგე გახდა—ახ-
ლა იმას სრულებით აღარა შეუძლიან-რა. დი-
დის სიფრთხილით ადგენებენ თვალ-ყურს. გი-
ორგი მეტად გამწყურაოდა დავითზე, რომ
ტახტზედ აბრძანებას ახლაც სცილობენ, მა-
მის სიციცხლეზე; ისრე გამწყურაოდა, რომ
სამეფო საქმეებზედ აღარ-კვი ელაპარაკება.

ღარეჯან. ჰმ!.. მე კი იმედი მქონდა,
რომ ჩემს საქმეში გამომადგებოდი?! ...ჰმ!..
როგორ მოვსტყუედი!..

ბაგრატ. მე თუ აღვასრულე შენი ბრძა-
ნება, წამსვე თავს მომიკვებენ, ამისი ღირსი
თუ გავხდი როდისმე, მაგრამ ამას-კი მოგახ-
სენებ გულ-ახლით, დედოფალო, რომ რუსეთ-
თან შეერთებით ჩვენ ყველას უკეთესი ბე-
დი მოგველის, უუშჯობეი, ვიდრე სულთ-
ნის კალთის ქვეშ ყოფნით. მე მაშინ ვიქნე-
ბოდი... მაგრამ, ნება მიბოძე, დედოფალო,
ვიკითხო, ოსმალეთზე რად მივიწვევს აგრე
გული და არა რუსეთზე?

ღარეჯან. (უნდახადა შესტკერის) რადა?..
ოსმალეთი რუსეთზედ უფრო ახლოა. ოს-
მალთ სულთანს ბეგრჯელ დაუხსნია სიქარ-

თველო სპარსთა ჯარებისაგან, ოსთა და ლეკთა შემოსევისაგან და კიდევ სხვა მრავალი გარეშე მტრისაგანაც. გაქირების დროს ოსმალთ ჯარებს შეუძლიანთ სამ დღეზე შემოსვლა საქართველოში, ახალციხისა თუ ქობულეთის მხრიდან და რუსთა ჯარსკი დასჭირდებდა სიარული მთელი ერთი თვე და კიდევაც მეტი, სიშორისა გამო და ამიტ-
მაც...

კ. უიფიანი
(გაგრძელება იქნება)

ვერცხლის ფუდი

(იმერული სცენა)

ღმერთმა დაგიფარო ახლანდელ დროში თბილის ქალაქში წასვლისაგან! არ გაგიწყრეთ ღმერთი და არცენ გაბელოთ იქ წასვლა აწი. თუ არ დეიჯერებთ და მოგიყვებით რაცხა ამბავი დამემართა თბილის ქალაქში ჩასვლისას.

„სინოდსკი კანტორაში“ საქმე მქონდა პაწია... გამვეიტანე „კასიდან“ მამა-სისხლად შეგროვილი ათი თუმანი. მისთანა ახალი ქაღალდის მანათიანები ქე მომცეს რომე სულ სლიკი-სლიკინი გაქქონდა ხელში. ჩავჯექი მატარებელში და ჩველი თბილისის „შეჯვრეტი ტრამვაიზე. ჩამეიარა „კანისტორმა“ და „ვიღე ბილეთიო“—მითხრა. ამევიღე ქაღალდის მანათიანი და გოუწოდე. გოუწოდეო!.. დაბ-რიალა თვალები, დაკრიქა კბ-ლები, მსტაცა ხელი და შიგ შუა გულ ქუჩაში გამადენია რეხვა.

შემარცხენია კაკალი კაცი!

ამ დროს ქვე მომშივდა და წვედი იქვე ახლო „სტრადეოსკენ“. დამიხვდა კარებში ვინცხა კაცი და მითხრა:

— თუ ქაღალდის ფული გაქ და ვერცხლისა არა, გირჩენია აქ არ შამოხვიდეო.

იმე! ვაგებრახვი მარა რავარი.

— შე ამოსადებო, ვის გოუგონია, რომ რუსის სახელმწიფოში რუსული ფული არ გადიოდეს—თქვა. ამ სიტყვებზე იმნ სიცი-ლი დაიწყო... კეთაში მამიდა სისხლი სიბ-რახვი... ესტაცე ხელი ჩასუბეტიულ კისერში,

ამევიღე ქვეშ, დავაჯექი ზევიდან, ვბრიგე და ვბრიგე.

განდა ყვირილი, „სვისტოკების“ ფ შტვენა, ცემა-ტყევა. მოვარდა „აკალოჩიკა“ და „გარადიო“, მსტაცეს ხელი და გამაქანეს ვი-რის აბანოსკენ.

რალა ექნა ახლა!.. ჩივარი მწარე ფიქ-რებში. ბოლოს საფულედან ამოვყავი თავი წითელ თუმნიანს და დავანახე „აკალოჩიკა“. ისთე გამომავალა ხელში, რომე არც-კი ვა-მიგია. მე შენ გეტყვი დეიწუნა თუ?!

გამიშვეს თუ არა „გარადიობმა“ და—ვღურთე „სტანციისკენ“, ჩავჯექი მატარე-ბელში და წამევიდი სოფლისკენ...

ბოშო, ამის შემდეგ რალა გამარონიებს თბილისში?!!

გაუგული

სმე მოწაფისა

ქართ. კულტ., მოფე, საზოგადოების წარ-სულ ვერსახე 15/X ბეფრი ილაზარაკს ჩეგნი თეატრას დეკანდელ უნუგუმო მდგომარეობის შესახებ... ბეფრი ვარტი აზრი გამთითქვა, ბეე-რინე მიუწდამოელი იდეალი დასახა, უყვლა, რა-საკვირვებლი; ქართულ თეატრის საკეთილდღეოდ. გუფუარს ოცნება, დეეს, რეალურ ხანაში, დეენა შირეულ დანდის...

ბნმა ხსენებდა შეიქმნა რა მოხსენება წაი-კითხა, ეგ უნდა უფთიდეყო წარმოთქმული მამინ, რადესსად უყვლაურთი მამხ-დებუღნი შეგერბე-ბადით...

დეს კი...

დეს ჩვენ, მოზარდი თათბა უნატრობთ ქართულ თეატრს, რომელმაც სკოლასთან ერთად უნდა გეასზრდოვოს და აღგეზარდოს მშობლიურ ნადაგზე; დეს ჩვენ ვინატრობთ ქართულ წარ-მადგენას. ქართულ სიტუკას, მშობლიურ სენი-დან გამოსხილეს; დეს ჩვენ თეატრი არ გვაქვს, რომ ვიართო წარმადებებზე, სადაც აკვამად-ლებს ხამშიაშეიღის და ლეონიძის სულის ძლი-ერება, სად დავაფიქრებს ზეიანის დაჭრილი კუნესა, სადაც ვიწამებთ „სინთაილით“ დავაგებულ ავთანდილის მისწრაფებას...

არა გვაქვს თეატრი დეს... და თქვენ კი მამავალ რეალიაურ ტადრის არქიტექტურასე ვბახსოვ...



მართალია, კარგია რეინჰარდზე ღანაკი, წარმტაცის გეორგ ფუქსეს მიქმედება. უგელა ეს ჩვენ მოგვიხდება, ჩვენ—ნიჭით ცხრებულ ადგილებს...

მაგრამ ახლა-ვი ნუ გავიწყდებით, რომ ჩვენ დღეს ოთხი კედელი ანა გვაქვს, ოთხი სადა კედელი, სადაც ტანკარადით ქართულ წარმოდგენას და არ გავგებზახნადით ჩვენ რუსულ თეატრებსა და სინემატოგრაფიებში.

თეატრის აშენებას 15 წელი მოუწდება და... ჩვენ რომ ასე შევჩერდეთ, სანამ მთელი ის ახალგაზრდაობა, რომელშიც უნდა შექმნას ის მომავალი რელიგიური ტაძარი, გადავარების ცხას დაადგება და შემდეგ იმ მშენებელ ტაძარში, ფუქსეს და რეინჰარდის უგაილებით ქართულ სპერსიკელებში, ვის აღოცებთ?!

ჩვენ, მლოცველები—გამუდარებით თქვენ, — ქურუმნა, გავვიდეთ ტაძარი და სანამ ღაბიანტებს და შენებდეთ—ქოხში გვალოცოთ, რათა არ შესწადეს ძაღვი ღაბიანტებს...

გოგლა ლეონი

ღ ი ქ ც ი ა

გ ა მ ო თ ქ მ ა

(გაგრძელება. № 16. თ. და 1. 42)

ცოტა ქვემოთ ვკითხულობთ: „ერთ მარცვლოვან სიტყვაში, რაღა თქმუნდა, მახვილი იმავე მარცვალზე ისმის: ორ-მარცვლოვან სიტყვაში—ბოლოდან მეორე მარცვალზე, ე. ა. თავიდან ბიერვალზე; ხოლო სამ და შერ-მარცვლოვან სიტყვაში ბოლოდანვე მესამე მარცვალზე.“

აი მკვლითვია: 1) ხე, ქვა, თხა, თმა, თქვა; 2) ცი-ხე, მი-წა, ში-ვი. 3) მა-მუ-ლი, წი-თე-ლი. 4) მა-ცხო-ვა რი; 5) გა-და-კეთება.

არსებითად ქართული მახვილი მოძრავია. მართალია, სიტყვის მარცვალთა შერას მას განსაზღვრული ადგილი აქვს მიწინაღი, მაგრამ ეს განსაზღვრულობა მარცვლის „მერმადვინაბას“ შენებას და არა ფინეტოკურ შენადვინაბას. ამიტომ სკამათა სიტყვის ბოლოსკენ მარცვალთა რაოდენობა იცვალის და მახვილიც ამოძრავდება. აი მკვლითვები:

- მა-მუ-ლა — — მა-მუ-ლი-სა
- გა-მო-მ-ხს-ელი — გა-მო-მხს-ელი-სა.
- მი-წა — — მი-წი-სა-სა.
- ხე — — ხე-ე-ბი-სა.

ესევე მოხდება, თუ სიტყვას ახალი, მარცვლები თავისკენ მიჰქცევა. მაგალითად: ყო-ლა — — წა-ყო-ლა
მო-სელი — — გა-მო-სელი.

ქართული მახვილის მეორე თვისება შემდეგია: ქართული მახვილი არსებითად „ლაქტილური“ ე. ა. სიტყვის ბოლოდან მუდამ მესამე მარცვლისკენ მიისწრავს. სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ერთ და ორ-მარცვლოვანი სიტყვისში ამომბრუნების დროს მახვილი ბოლოდ მისწრ ამოძრავდება ხოლმე, როცა ამომბრუნებულ სიტყვაში მარცვალთა რაოდენობა სამს გადაჭარბებს; მანამ-ვი მახვილი იმავე მარცვალზე რჩება; რომელზედაც იქნა, როცა სიტყვა სხეულობით ბრუნვით იყო წარმოდგენილი. აი მკვლითვები:

- 1) ხე; ხე-სა; ხე-ნი; ხე-ე-ბი; ხე-ე-ბ-სა.
- 2) ხე-ე-ბი-სა; ხე-ე-ბი-სა-სა.

ბირველ სტრიქონში მახვილი უძრავია ხის მარცვალზე „ხე“, რადგან იქ მარცვალთა რაოდენობა სამზე მეტი არაა; მეორე სტრიქონში მახვილი ამოძრავებულია (ე; ბი), რადგან აქ მარცვალთა რიცხვი სამზე მეტია.

ამავე წესით მოძრავის მახვილი, როცა მარცვლი სიტყვაში ერთმანეთს უერთდება და ახლს, როგორც სიტყვას იძლევა: აქც მახვილი ბოლოდან მესამე მარცვალს იჭერს. აი მკვლითვები:

- მარტივი სიტყვები: რთული სიტყვები:
- ღეღა-მამა — — ღეღ-მამა
 - ღეღა-მიწა — — ღეღა-მიწა
 - მტერი-მოყვარე — მტერ-მოყვარე
 - ბელი-იღბალი — ბედ-იღბალი
 - წერა, კითხვა — წერა-კითხვა.

ქართული მახვილის ამ ორ თვისებასთან მჭიდროდ შეკავშირებულია მისი მესამე თვისება. სახელობარ, ცოცხალ საგარში, როცა სიტყვაში ერთმანეთს სხვა და სხვა სინტაქსიური წესით უერთდება, მახვილი ერთგვარ შემკავშირებულ დასად ხდება, სკამომინაცო დასამამდ იჭრება: რამოდენსამე შესობად სიტყვას ერთ ჯგუფად უქრის თავს და მთელს ამ სინტაქსიურს

ჯგუფში თვითონ ბოლოდან შესაძრე მარტვალზე ბინადგება. ეს სინტაქსური ჯგუფი ამ შემთხვევაში თითქმის ერთს სიტუაციას წარმოადგენს.

მახედვით ამ თვისების ძალით სინტაქსურ ჯგუფებად, ჩვეულებრივ, სიტუაციას და წინადადების შემდეგი ნაწილები ერთადგება:

I. თანდაბუფი და ის სიტუა, რომელსაც იგი ეკუთვნის; მაგალითად:

ქვიყანა-ზე	და არა	ქვეყნა ზე
მთებისა-ვენ	" "	მთებისა-ვენ
ცათა-შინა	" "	ცათა შინა

II. გერთ წოდებულები შედგენილი შესასმენელები, ე. ი. რომელიმე სხელი და შემწეობითი სმნა:

კეთილი-ა	და არა	კეთილი-ა
ნეტარ-არია	" "	ნეტარ არია.
რომელი-ხარ	" "	რომელი ხარ.

III. მარტვი შესასმენელი (ზმნა) და მისი დასტება ან რაწმეობითი სიტუა:

რა-ვიცი	და არა	რა ვიცი
არა-ვიცი-რა	" "	არა ვიცი რა
როგორ სწავლობს	" "	როგორ სწავლობს
სიდან-მოხვალ	" "	სიდან მოხვალ

IV. სისწავრუი სიტუა და მისი განსასწავრუება:

მამა ჩემი	და არა	მამა ჩემი.
შავი-მიწა	" "	შავი მიწა
მიწის მუშა	" "	მიწის მუშა.

V. ძლიერ სმნათ კავშირით ლა-თი შერ-თიებულები სიტუებში:

ქალი-და-კაცი	და არა	ქალი და კაცი
ცა-და-ქვეყანა	" "	ცა და ქვეყანა.

ვიმთარებით, კარგი იქნება ეს წერილები (ს. კორკაძის „ქართული წეობის სიტუაობა“) ეურადღებით წაითხოხს მკითხველმა. ჩვენ ის ამოწერეთ, რა უფრო სსქარდა შეგახნდა.

გიორგი ჯაბადარი

(გაგრძელება იქნება)

ქართული სახიობა

საბურთალოს აუდიტორიაში კვირას, 18/X, წარმოადგინეს ი. გვედენიშვილის „ვაძეობა“. პიესას მომხალეება აკლდა, რის გამოც სუსტად ჩაიარა: ზოგმა მონაწილემ თუ როლი არ იცოდა, ზოგი შეუფერებ-

ლიც იყო: სასურველია, სცენის მოყვარენი და რეჟისორი ან თავის ძალი შესაფერ პიესას აირჩევდენ, ან უმეტეს ძალი მიიწვევდენ ხალმე.

დარბაზში წეს-რიგის დაცვაზე გამგებობა ამ დღეს გაცილებით მეტს ზრუნვდა, მაგრამ ანტრაქტების დროს წესიერება მაინც ირღვეოდა და უმოკერესად იმიტობა, რომ ანტრაქტებს მეტად აქიანებდენ.

კარგი იქნება. ხანისხან მაინც, წარმოადგენის დაწეებამდე ხალხს გააცნობდენ თეატრის მნიშვნელობას და როდესაც ეს ყველა დამსწრეთაგანს რაზედათმე შეგნებული იქნება, წეს-რიგს თითონვე დიცავს.

მოკარნახის ხმა დარბაზში მკაფიოდ ისმოდა. მისი საბუდარი შიგნიდან რომ გაიტხრებოდაც და მონაწილენიც კარგად დაისწავლიდენ როლებს, ასე არ იქნება.

ხალხი ბლომად დაესწრო. უნდა იღონონ რამე, რომ წარმოადგენა ადრე გათავდეს, სატირთა დროით დაწეება და ანტრაქტების შემკირება.

ლარაქი

დ. საბურთი ადგილობრივმა დრ. წრ. გამგეობამ 11/X წარმოადგინა „დაძმა“. ბ-ნ ალ. ქუთათელაძეს ეტყობოდა მეცადინეობა, მაგრამ მაინც მან გაიოხის სულის კვეთება ვერ დაგვიხატა. გვარიანი იყო მეხუთე მოქმედებაში (ციხეში). მარინეს როლს ასრულებდა ქ-ნი ნ. ხოზებრაშვილი, რომელიც პირველად გამოვიდა სცენაზე და ამიტომაც იყო, რომ ვერ სძლია ეს ძნელი როლი. ადამიას როლი გ. ხოზებრაშვილმა რიკიანად შეასრულა, მაგრამ ლაპარაკში სიმღერის ელფერი დაჰკრავდა. იტიას როლი საუცხოვით შეასრულა ბ-მა ალ. კორძაიამ. ეს ნიქიერი სცენის მოყვარე ყველა ნაიკოს როლს ღირსეულად ასრულებს. შესაფერისი და მოხდენილი იყვნენ ბ-ნი დედვარიანი (ფაშა-ფენდი) და ძნელაძე (გიორგი). უფერული იყო ქ-ნი რჩეულთა (გალია). წარმოადგენა სიმღერებმა გამოაცხებლა. სამწუხაროდ, მოკარნახის ხმა უკანა რიგებშიაც ისმოდა.

წარმოადგენას ხალხი ძალიან ცოტა დაესწრო; ალბად ფასების სიფერის გამო (უკანასკნელი 13 რიგი 50 კაპ. ღირდა).

აკაკო

ნაძალადევის თეატრიში შაბათს, 17/X, ა. გოგაშვილის რეჟისორობით წარმოადგინეს „დაძმა“. წარმოდგენამ საშუალოდ ჩაიარა. ხალხი ბლომად დაესწრო.

დამსწრე.

ბაქოს დრამ. წრამ კვირას, 11/X, ვ. შალიკაშვილის რეჟისორობით წარმოადგინა „პედეგოგები“ ან ბრძოლა უმცირესთან“, მ მოქმ. თარგმ. დ. ნახუტიანიშვილისა. ბაქოს სცენის სიღარიბე აშკარად ეტყობოდა ამ პიესას. წარმოდგენას აკლდა აღფრთოვანება, მთლიანობა. პროფ. დეპარტის როლს თვითონ ბ-ნი შალიკაშვილი ასრულებდა, რომელმაც თავისი გამოცდილი თამაშით სათანადო შთაბეჭდილება მოახდინა. ბ. ახობაძე (ფლაქსმან) მონღომეზულად ასრულებდა



როლს, მაგრამ ბუნებრივობა აკლდა. კარგება იყენენ ქ-ნნი: ქილარჯიშვილი (გიზა) და შულსუიძის (შტურ-მანი). ბ. მატარაძე (ფლემინგ) მოისუსტებდა, როლის უკლინარობით. ბ.ბ. შვიფსაშვილს რიზან) და ბო-ხუს (ფოვლზანგ) უხერხულად ეჭირათ თავი. ბ. ქარ-ქაშიძე (ჩეჩენაძე), ბ. პავლიაშვილი (დირკს), ბ. ჯიქია (ჩემერ) და ბ. გეგორი (ბაუმ) ანსაზღს ხელს უწყობდენ.

საერთოდ პიესას ნაქარგობა ეტყობოდა და ალ-ბათ ის იყო მიზეზი, რომ ხუსტათ ჩაარა. ბოლოს წარმოადგინეს დ. კლიაშვილის „დარისპანის გასაჭი-რი“, რომელმაც ბევრი აქინა მრავალ-რიცხოვანი სა-ზოგადოება.

ბაქოს დრამატიულ წრეს განუხრახავს რეჟი-ორჯულ (შაბათ საღამომით) ბალახანაშიც მართოს ქართული წარმოდგენები, რაც ფრიად სასიამოვნო მო-ვლენად ჩაითვლება. პირველად წარმოდგენილ იქნება „ქრისტინე“, შემდეგ „მორავიშვი“ და სხვ.

ილიბი

ქაშპაშვის ქართ. სკოლის შენობაში 27/IX შეს-დგა აქაურ სცენის მოყვარეთა კრება, ხალხის თანდა-სწრებით, ბან მ. შალაბერიძის თავმჯდომარეობით. კრებად ერთმანდალადნაწი წარმოდგენეს ის გამართვა, აარჩია გაუგეობა—ბ.ბ. ა. პიტაია, გ. მიქაბერიძე და მ. შალაბერიძე; რეჟისორად—ბნი ბალაშვილი, მის თანაშემწედ ბ-ნი ე. კუშიაშვილი.

სუბანი დაიწყო „პეპო“—თი საზოგადოება მოუთ-მენლად მოლოდა პირველ წარმოდგენას და სინბარ-ლით მიიღოდა წარმოდგენაზე, მაგრამ იმდენი გაუც-რედა: პიესა მოუშობდებელი იყო. ამას ზედ დაერ-თო წარმოდგენის დაწყებამდე ორი მანდილონის ჩე-ბი, რომელმაც ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა საზო-გადოებაზე. ვისურვით, უკეთეს პირობებში უმართონს წარმოდგენები გამგებობას და უკეთესადაც მომზადე-ბული.

გ. ხო—ლი

ბორჯომში ქართულმა სცენის-მოყვარეთა წრემ გადასწყვიტა დრავამოშებით გამართოს სახალხო, იაფ-ფასიანი წარმოდგენები. ამით წრეს პუსის მისცეს დამოუკიდებლობა საშუალება თეატრში სიარულისა. ამის-თვის შემუშავებული იქნება საგანგებო რეპერტუარი, საამდროვე შინაარსიანი პიესებით

ეს ერთადერთი საქმე და სახსარია, რომლის სა-შუალებითაც შეიძლება აქაური ხელ-მოკლე და მდა-ბო ხალხის გამოხიზნობა, ვათოთცნობიერება და თვით შეიქნეს ის გზაზე დაეყენება აქაური ქართველობა მეტად დაქსაუსულია: არ არსებობს მათ შორის არავი-თარი კავშირი, ერთობა; არ ხრუნავენ საზოგადო, სა-ერთო საქმისათვის, რაც ჩვენ ყველაზედ უფრო, დღეს გვესაქ რჩება, და თავდავიწყებით მისცემიან ერთი-მე-ორის ქიშპობასა და დაჯანბნებას. აქ არ არსებობს არავითარი ქართული დაწყებულება (თუ არ მივიღებთ მხედველობაში ადგილობრივ წიგნთ-საცავ-სამიჯიხე-

ლოს, რომელსაც რაღაც მიზეზით ხალხი ნალებად ეტანება), სადაც შეეძლოთ აქაურებს თავის შვერა, ერთმანეთის ნახვა, აე-კაზის განიარება; არ იმართება ლექციები და სხვა და სხ. ამიტომ ზემოხსენებული გან-ხრახეა „წრისა“ მეტად სიმპატიური და დიდი საქმეა: სახალხო წარმოდგენებზე ყველა მასშალობა ფსლვა დაესწრას; აქ შეიძლება თავს ქართველი ხალხი შეე-ჩვევა და შეეთეება ერთმან-ს; გაიზიარებენ ერთი-მეორის აზრებს და დაქსაუსება და ქიშპობის ნაცვლად ძმურად ხელს გაუწოდებენ ერთმანეთს. სწორედ ამი-ტომ საქითა, ბორჯომის შეგნებული პირები ჩაუდ-ნენ ამ საქმეს სათავეში, გაუწიონ ყოველგვარი დახ-მარება სცენის მოყვარეთ და მისცენ საშუალება, ეს ახალი პატარა საქმე ღიდ საქმედ აქციან.

პირველი სახალხო, იაფ-ფასიანი წარმოდგენა გა-იმართა 18 დეკემბრისთვის.

ღ—ი

წვრილი აგაპი

ძარბი. დრამ. დანი თბილისში უკვე შეს-დგა და მალე წარმოდგენებმაც დაიწყებს, თუ სახალხო სახ-მა თვეში ოთხი დღე მაინც დეუთშო.

◆ **სიღნაღში შხსაღ** სცენის მოყვარეთა წრე, შეადგინა წესდება და სათანადო ადგოს წარადგინა დასამატრიკულად. წრეს განუხრახავს წარმოდგენები მართოს ადგილობრივ და ახლო-მახლო სოფლებში.

◆ **ნინო ყიფიანისა დიმი ყიფიანის** ხელ-ნაწყოებიდან ამოარჩია ფრიად ძვირფასი ავტობიოგრა-ფიული ნაწერი დ. ი. ყიფიანისა, რუსულ ენაზე, „წერთა სულისა“ (школа духа), რომლის თარგმანც გადასწყვიტა უფრ. ახალ მოამბეში მოსათავსებლად.

◆ „**სატიბ ადამიანი**“? ი. კავკაზისა სტუდ-ალ. გუბატამ გადათქვა 4 მოქ. და 8 სურ. პიესად.

◆ **ახალციხისა „ზა“** სახლრა გურულისა სა-ცენებურო კომიტეტს წარედგინა ნებართვის ასაღებად.

◆ **შირილში** მოკლე ხანში მოხდება სცენის მოყვარეთა კრება ამ ხანთარს წარმოდგენების მოწყო-ბის შესახებ მოსალაპარაკებლად.

◆ **სამურთალოს დრამ. წარმ.** აირჩია კომი-სია (ქნ. ა. ა. მარბლისა, კ. მავაშვილი, პ. ირეთელი, ვ. მატარაძე, პ. ხეთავიწილი, პ. ვათუა, ი. ზურბი-შვილი და კ. ბაღრიძე) სათენტრო შენობის აგებაზე სახრუნავად.

◆ **გომანს ქ. ქაშაშვილის** დრამ. პიესა „ქეშ-მაკი საქართველოში“ მოკლე ხ.წში ცალკე წიგნად დაი-ბეჭდება.

◆ **იალის რუსული ზღაპრის** ნებართვა მიე-ცა ივანე იბლისს ძე იედაშვილს.

◆ **თბილისში** სოხუმის მოყვარედ დაამ-ტრირეს



◆ ილ. ჰამბაზაძის სრლამო მუთიანის გავიარებდა 27/X ნ. ერისთავის, მეტიანურ ვოლფ-იხარელის, კ. დაცვერაშვილისა და სხ. მონაწილეობით.

◆ მოსწავლეთა დარბ. წამ შეადგინა ქუთაისის ქართ. გიმნაზიის მასწავ. აკაცი ფაღავამ.

◆ მუთიანის დარბ. საზ-ის გამგებობამ აირჩია სარედაქციო კომისია წარმოსადგენ პიუნების ენის შესასწავლებლად.

◆ მათა-ფსაველას სადამოს ჰმართავს ხარფუშის კლუბი ივ. გომართელის მონაწილეობით. შემოსავალი გადამრება ქართველ მოღვაწეთა აგარაკის ამშენებელ კომისიას.

◆ საზფუშის კლუბის ახალ სტენზე სესონი დაიწება ქართული წარმოდგენით. შემდეგ ყოველ ოთხშაბათობით გაიმართება ქართ. წარმოდგენები.

◆ ქართული საქველმოქმედო საზოგადოების კრება 3. ა გორის თავმჯდომარეობით შესტგა ახ. კლ. დარბაზში 18/X. თბილისში ჰყოლია 249 წევრი, საქართველოში — 7 განყოფილება. 1 იანვრიდან დღემდე შეტურთალებია 40,000 მან. ნაღდათაჯეს 11,000 მ. საზ-ის მდივანმა 3 საყვარელიძემ კრებას გააქანა ქართ. მამადიანთა ვითარება დ ზარალბეულ ქართველთათვის და ქართველ მამადიანთათვის საზოგადოების გამგებობას შემწეობა აღმოუჩინია სურსათით თუ სხვაფრივ. საზ-ას დიდი წინდობრივი ვაჯღემა და იურიდიული უფლებაც მოუზღვევია. თვით მთავრობისაგან ეს საზოგადოებამ აღიარებულ იქნა დახარალებულ ქართველი ხალხის ბედ-იღბლის გამგედ. ამ საზოგადოებაში თავს იყრის ყოველი წოდების და კუთხის ქართველი და ერთიგორგს ეკავშარება. საზოგადოება წვერად ჩაწერა ქართ. კულტ. საზოგადოებთა კავშირში და თვის მხრით აირჩია ი. ა. ბარათაშვილი, ფ. მ. გოგინაიშვილი და პ. ა. გოგუა. სარევიზიო კომისის წევრებად: გ. ბ. გვახავა, გ. მ. ლახიშვილი და გ. ცინცაძე.

◆ მ. შავჩაგაშვილის ასულმა გაათავა თბილისის სამუსიკო სასწავლებელი, ამ მოკლე ხანში კონცერტს გამართავს და უმაღლეს სამ. სასწ. წავა.

◆ ლანჩუაშვილის დარბ. საზ-ის წსდებმა დაამტკიცა ქუთაის-ს გუბერნატორმა. საზოგადოება დაიწყებს წარმოდგენების მართვას.

◆ ქართული მართლმადიდებლის შესახებ ს. გორგაძემ 21/X მოხსენება წაიკითხა საქარ საისტ. საეონ. საზ-ის კრებაზე. სასურველია დაიბეჭდოს.

◆ ს. შირცხალავა თავის ლექციას „სამამადიანო საქართველო ანუ ძველი მესხეთი“ წაიკითხავს კვირას, 25/X ესიკავის ცირკში, ვერის დაღმართზე. 11 1/2 ს. ქართ. საქ. საზ-ის სასარგებლოდ.

ფ ო ს ტ ა

მუთიანის. Lami-ის: დღემდე არაფერი მიგვიღია „ქუთაისის დარბის“ წარმოდგენების შესახებ. ველით.

რედაქტორ გამომცემულია ანნა იმედაშვილისა

საზფუშის საზ. კლუბი მიხეილის პრ. № 131

ერთი კვირის პროგ. 24 ღვინ. 1- გიორგ-დე შაბათს (სიმებიანი ორკესტრის კონცერტი კვირა (პრესმანის ლოტარობით, ორშაბ. სინემატოგრაფი საშაბ. სიმებიანი ორკესტრი ოთხშაბ. სინემატოგრაფი ხუთშაბ. იმებიანი ორკესტრი პარასკევს. სახანდარი, სინემატოგრაფი შაბათი (სიმებიანი ორკესტრის კონცერტი კვირა (პრესმანის ლოტარობით შესავალი ფსიხ: მამაკენი—30 კ. ქალები და სტუდენტები—20 კ. დასაწყისი საღამოს 8 1/2 საათზე.



საზფუშის კლუბი
პრ. № 131
საბ. დი. ავთიანი
საბმდლო. ქ. დ. გოგინაიშვილის პრ. კუთხე.

სტ. ქარტი. ფილარ. საზ.

სამუსიკო სკოლა, სლავოვის ქ. ზაღინ-ცაის საზ. № 4. მოწავთა მიღება 10—2 ს. -მდე დღისით და 5—7 ს.-მდე საღამოთი სკოლის კანტორაში. სწავლის ფსიხ: ფორტპ. 70 მ. წელიწადში, სკრიპკა 75 მ., ვიოლონელი—65 მ., კონტრაბასი—50 მ. სიმღერა 100 მ., თეორიის კლასები—15 მ. სწავლის ფსიხ ნახევარ წლივით წინდაწინ.

ნომრები „აზრობა“

ახლად შეკეთებულა, საუცხოვოდ მოწყობილი, სუფთა, ელექტრონის სინათლით ქალაქის შუაგულს, ეორონცოვის ძეგლთან. ნომრები ოთხი აბაზიდან. ნომრებში სმზარეულო, ცხელი და ცივი წყლით (ღმუი და ანნა). თბილისი, მიხეილის პრ. № 5. ტელეფ.